



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/152

„ 21 „ სექტემბერი 2015 წ.

### გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

#### დ. ლიბრადის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების შესაძლებლობას მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული რეგულაციის მიზანს წარმოადგენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, საქმის განხილვის შესაძლო გაჭიანურების თავიდან აცილება და პროცესის მონაწილე მხარეთა ინტერესების დაცვა. მოცემული ნორმა არ ითვალისწინებს მოსამართლისათვის რაიმე სახის დამატებითი გარანტიების შექმნას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის ნორმა არ განსაზღვრავს საქმის განხილვის დასრულების კონკრეტულ ვადას, თუმცა ნორმის მიზნიდან გამომდინარე ვადა უნდა იყოს გონივრული და ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს. „დ. ლიბრადისათვის დაწყებული საქმეების განხილვის დამთავრებამდე უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 15 ივნისის №1/63 გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კონკრეტული საქმეების განხილვის მიმდინარეობისა და მათი დასრულების ვადების შესახებ მოსამართლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით. მოსამართლე დავით ლიბრადის მიერ ამ დრომდე არ მოხდა მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულება, რითაც დარღვეულ იქნა საქმეთა განხილვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადები.

საქმეთა განხილვის ასეთი გაჭიანურება იწვევს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებასა და პროცესის მხარეთა ინტერესების შელახვას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უფლებამოსილების გაგრძელების შემთხვევაში მოსამართლეზე არ ნაწილდება სასამართლოში შემოსული ახალი საქმეები. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული მოსამართლის გათავისუფლებამდე იმავე საშტატო ერთეულზე გაამწესოს ახალი მოსამართლე. აღნიშნული იწვევს სასამართლოში სრული დატვირთვით მომუშავე მოსამართლეთა რაოდენობის შემცირებას, მათი სამუშაო დატვირთვის გაზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის მათ წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის გაჭიანურების რისკს, ამცირებს დროული მართლმსაჯულების მიღების

შესაძლებლობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ მოთხოვნათა საპირისპიროდ. ამგვარად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენებამ, რომლის მიზანია დაწყებული საქმეების დროული დასრულება და მხარეთა უფლებების დაცვა და არა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის გახანგრძლივება, ვერ უზრუნველყო პრაქტიკაში იმ მიზნის მიღწევა, რასაც ის ემსახურება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც პასუხისმგებელია მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე, უნდა იმოქმედოს მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე და უზრუნველყოს სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ის სამართლებრივი აქტი, რომელიც მიღების დროს იყო კანონიერი, მაგრამ აქტის მიღების ფაქტობრივი საფუძვლების შეცვლის გამო მისი შემდგომი მოქმედება მიზანშეუწონელია. შესაბამისად, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიზანშეუწონლად მიიჩნევს დ. ლიბრაძის მიმართ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შემდგომ გაგრძელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დ. ლიბრაძისათვის დაწყებული საქმეების განხილვის დამთავრებამდე მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 15 ივნისის №1/63 გადაწყვეტილება.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავით ლიბრაძე გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.



ნინო გვენეტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე